ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482615413

თარიღი:03/06/2026

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'', „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასური განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, „წყალტუბოს მუნიციპალიეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N72 დადგენილების, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის Nგ-49.49261483 და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის Nგ.49.49261484 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ლოტი №1 -ზე, დანართი №1-ის შესაბამისად /დანართი N1 თან ერთვის/.

2.დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად /დანართი N2 თან ერთვის/

3.ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge .

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ.კუპრაძისქუჩა №11/.

5.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

22127 4546

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

გამოყენებულია კვალიფიციური

გენადი ბალაბნიკოვმე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი